

ქეთევან ტრაპაიძე .

ასოცირებული პროფესორი

1991 წელს დაამთავრა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი. კინო ფაკულტეტი. მიენიჭა კვალიფიკაცია კინომცოდნე. 1991 წლიდან მუშაობდა იგივე ინსტიტუტის პედაგოგად. 1993 წლიდან დღემდე, იყო ორი ჯგუფის ხელმძღვანელი კინომცოდნეობის განხრით. 2004 წლიდან მუშაობდა სამეცნიერო-კვლევითი სექტორის წამყვან მეცნიერ-თანამშრომლად იგივე ინსტიტუტში და ასევე იყო ასოცირებული პროფესორი. 2006 წელს მოიპოვა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. დაიცვა დისერტაცია თემაზე „70-ანი წლების ქართული კინოს თემატური ტენდენციები“. იყო 10 სამეცნიერო კონფერენციის მონაწილე და მომხსენებელი, ასევე ორი კრებულის თანაავტორი ბოლო ოთხი წლის მანძილზე. არის საერთაშორისო ტრენინგების მონაწილე, პროექტების ავტორი და თანაავტორი, მათ შორის: „ალტ-არტ პროექტი“, „ქართული მულტიპლიკაციის ისტორია“ და სხვ. 2011 წლიდან მუშაობს სახელმძღვანელოზე „ქართული კინოს ისტორია“ ორ ავტორთან ერთად. 2011 წლიდან დაიკავა საქართველოს თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობა. კითხულობს ლექციებს ქართული კინოს ისტორიაში. არის სასცენარო სამაგისტრო პროგრამის თანახელმძღვანელი, ა.ი. პ. „საქართველოს მემკვიდრეობის“ დამფუძნებელთა საბჭოს მოქმედი წევრი, გელათის და მოწამეთას პროექტების მონაწილე, ასევე საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანმანათლებლო მიმართულების მენეჯერი. მის მიერ შექმნილია სამეცნიერო შრომები და პუბლიკაციები. მათ შორის: „70-იანი წლების ქართული კინო და თემატური ტენდენციები ალექსანდრე რეხვიაშვილის შემოქმედებაში“, თემატურ მოტივთა სახეცვლა ქართულ კინემატოგრაფში ბროშურა, „ქართველი კინორეჟისორები“ (დამხმარე სახელმძღვანელო). „თემურ ბაბლუანი“, 2007 წ. „თემატური ტენდენციები _ პირობითი აზროვნების პრინციპები“ _ 2006-2007 წწ. _ სამეცნიერო შრომა. „ეპოქა და საზოგადოება“ „პიროვნების, საზოგადოების, ეპოქის ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტი 70-იანი წლების ქართული კინოს ცალკეულ ნაშრომებში“. 2006-2007 წწ. „ქართველი კინორეჟისორები“ „გოდერძი ჩოხელი“. კრებული „კინორეპერტუარი ქართულ ტელეარხებზე“. 2007 წელი. კრებული „ქართველ რეჟისორთა მიერ უცხოეთში გადაღებული ფილმები“ 2008 წ. „ფილმი, რომელიც მაყურებელმა ვერ იხილა _ მიხეილ კალატოზიშვილის “ლურსმანი”. 2009 „კახი კავსაძე“ (კინოროლები) 2011 წ. კონფერენციის ბეჭდური ვერსია „XX საუკუნის კულტურის პრობლემათა გასაანალიზებლად“ 2011 წ.